შარდის შეგროვება ბაქტერიოლოგიური კვლევისთვის

მრჩეველი
სამედიცინო ცენტრი
ღიმბახის ჯგუფი

ინფორმაცია პაციენტებისთვის

თქვენმა ექიმმა დაგინიშნათ კვლევა, რომლისთვისაც საჭიროა შარდის შეგროვება.

მნიშვნელოვანია სინჯი სწორად შეგროვდეს.

ამ გზამკვლევში ვეცდებით აგიხსნათ: როგორ შეაგროვოთ შარდი, მონიშნოთ სინჯები და სწორად შეინახოთ გამოკვლევამდე.

ლაბორატორიისგან დაგჭირდებათ:

- სტერილური შარდის ქილა
- 10 მლ. სტერილური შპრიცი
- მწვანე თავსახურიანი შარდის კონტეინერი სტაბილიზატორით



როგორ ხდება შარდის შუა ნაკადის შეგროვება?

რა უნდა იცოდეთ:

- უმჯობესია, შარდის შუა ნაკადი შეგროვდეს გაღვიძებისთანავე, პირველივე მოშარდვისას; სხვა შემთხვევაში, მოშარდვებს შორის ინტერვალი უნდა იყოს სულ მცირე 4 საათი.
- სქესობრივ კავშირს მოერიდეთ შარდის აღებამდე ერთი დღით ადრე;
- პირველ რიგში, შარდის შესაგროვებელ კონტეინერს, დააწერეთ: სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, შარდის აღების თარიღი და დაიდეთ ახლოს, ხელმისაწვდომ ადგილას;



- ხელები კარგად დაიბანეთ საპნითა და წყლით და გაიმშრალეთ სუფთა ხელსახოცით.

რა ხდება შარდის შეგროვების შემდეგ?

- მწვანე თავსახურიანი კონტეინერი დაიჭირეთ თავით ზემოთ და მოხსენით თავსახური. დგუში დააფიქსირეთ ბოლო პოზიციაში; 10 მგ. სტერილური შპრიცით ამოღებული შარდი ჩაასხით კონტეინერის ღია ნაწილში, მჭიდროდ დაახურეთ თავსახური და შეანჯღრიეთ.
- მწვანე თავიანი კონტეინერი მოიტანეთ ლაბორატორიაში მაქს. 1 საათის განმავლობაში.

პროცესის აღწერა

1. დაიბანეთ სასქესო ორგანოები

ქალები: ერთი ხელით გადაწიეთ სასქესო ბაგეები და კარგად დაიბანეთ გამდინარე, თბილი წყლით (საპნის გარეშე), მიმართულებით: წინიდან → უკან. შემდეგ გაიმშრალეთ სუფთა ხელსახოცით. შარდის აღების დასრულებამდე გადაწეული გქონდეთ სასქესო ბაგეები. მენსტრუაციის დროს შარდის აღება რეკომენდებული არ არის. აუცილებლობის დროს, საჭიროა ვაგინალური ტამპონის გამოყენება.

კაცები: მთლიანად გადაწიეთ ჩუჩა და ასოს თავი კარგად დაიბანეთ გამდინარე, თბილი წყლით (საპნის გარეშე). შემდეგ კარგად გაიმშრალეთ სუფთა ხელსახოცით. შარდის აღების დასრულებამდე ჩუჩა გქონდეთ გადაწეული.

2. შეაგროვეთ შარდის შუა ნაკადი

დაიწყეთ მოშარდვა ტუალეტში, დაახლოებით 3 წამის განმავლობაში. შემდეგ შეაგროვეთ, დაახლოებით, 20-30 მლ შარდი შარდის ერთჯერად კონტეინერში, ნაკადის შეწყვეტის გარეშე. შარდის კონტეინერი არ უნდა ეხებოდეს სხეულს. შარდის კონტეინერი მოაცილეთ შარდის ნაკადს შარდვის დასრულებამდე. მოშარდვა დაასრულეთ ტუალეტში.